



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №28/1882-14

17 სექტემბერი 2014 წელი
თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა
თავმჯდომარე, მომხსენებელი - ნატალია ნაზლაიძე
მოსამართლეები - ნათია გუჯაბიძე, ქეთევან მესხიშვილი

სხდომის მდივანი – დარეჯან ზიძინაშვილი

აპელანტი – ვ. ნ.

წარმომადგენელი – მ. ბ.

მოწინააღმდეგე მხარე – შპს სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ.“

წარმომადგენელი - ქ. მ., ი. ჩ.

დავის საგანი – დაზღვევის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ზიანის ანაზღაურება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება

1. აპელანტის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

გ. ნ.-ს სასარჩელო მოთხოვნა: შპს სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ.-ს“ გ. ნ.-ს სასარგებლოდ დაეკისროს დაზღვევის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე 17 900 აშშ დოლარის და 1 500 აშშ დოლარის გადახდა; შპს სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ.-ს“ გ. ნ.-ს სასარგებლოდ დაეკისროს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება 10 000 აშშ დოლარის ოდენობით.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. ნ.-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.



დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2010 წლის 6 ივლისს შპს "სადაზღვევო კომპანია ა. ს. ჯ.-ს" და ვ. ნ.-ს შორის გაფორმდა დაზღვევის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე გაიცა ორი სადაზღვევო სერტიფიკატი #MI0004XXX და CR000XXX.

2.2. სერტიფიკატი #MI0004XXX ითვალისწინებდა ვ. ნ.-ს სარგებლობაში არსებული, ავტომანქანის მისაბმელის (მარკა DENNIS DENNIS, სახ. ნომერი PAXXX) დაზღვევას და მოსარგებლისათვის სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას. ამავე ხელშეკრულების 6.1.11-ე პუნქტის თანახმად, მზღვეველი არ აანაზღაურებს: ზარალს და დაზიანებას, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის ტრანსპორტის გადატვირთვით, ტექნიკური გაუმართაობით, არასაგზაო პირობებში ექსპლუატაციით, მძღოლის მიერ უხეშო გაუფრთხილებლობით და/ან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით.

2.3. ტვირთის დაზღვევის სერტიფიკატით CR000XXX (ლონდონის მზღვეველთა ინსტიტუტი) დაზღვეული იქნა საზღვაო მოტოციკლი, ე.წ. "სკუტერი" "YAMAHA-FZS". სადაზღვევო თანხა განისაზღვრა 17 900 აშშ დოლარით (საზღვაო მოტოციკლის ნაწილში) და 1 500 აშშ დოლარი (მისაბმელის ნაწილში). აღნიშნული ხელშეკრულების 4.1. პუნქტის თანახმად, ეს დაზღვევა არ ფარავს: დანაკარგს, დაზიანებას ან ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია დაზღვეულის მიერ განზრახ ქმედებასთან ან უხეშ გაუფრთხილებლობასთან.

2.4. 2010 წლის 01 ოქტომბერს, დაბა შორაპანთან, მოხდა ავტო-საგზაო შემთხვევა, რამაც გამოიწვია საზღვაო მოტოციკლის, ე.წ. "სკუტერი" "YAMAHA-FZS" და მისაბმელის დაზიანება. საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი საჯარიმო ქვითრით № ბდ726XXX, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე, ვ. ნ. დაჯარიმდა 250 ლარით.

2.5. საზღვაო მოტოციკლი, "YAMAHA-FZS" აღდგენა-შეკეთებას არ ექვემდებარება.

2.6. შპს "სადაზღვევო კომპანია ა. ს. ჯ.-მ" უარი განაცხადა დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე.

2.7. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია ვ. ნ.-ს არგუმენტი იმის შესახებ, რომ დაბა შორაპანთან, მომხდარი ავტო-საგზაო შემთხვევა არ იყო გამოწვეული მისი ბრალეული ქმედებით. საქმეში წარმოდგენილი იყო საჯარიმო ქვითარი, რომლის საფუძველზე ვ. ნ. დაჯარიმდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის. სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე მიღებული აქტის არსებობა, იმთავითვე მოიცავდა ქმედების მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ ხასიათს, რადგან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელშეშობის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული



პასუხისმგებლობა. ამდენად, თუ პირის მიმართ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რის საფუძველზეც, იგი იმთავითვე მოიცავს ქმედების მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ხასიათს და მოწინააღმდეგე მხარე არ არის ვალდებული დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენით ამტკიცოს აღნიშნული გარემოება. დაზღვევის ხელშეკრულების 6.1.11 პუნქტი ადგენდა საგამონაკლისო შემთხვევებს, როდესაც, მზღვეველი არ ანაზღაურებს: ზარალს და დაზიანებას, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილტრანსპორტის გადატვირთვით, ტექნიკური გაუმართაობით, არასაგზაო პირობებში ექსპლუატაციით, მძღოლის მიერ უხეშო გაუფრთხილებლობით და/ან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით. ადმინისტრაციულ-სამართალდადგევითა კოდექსის 125-ე მუხლი, ითვალისწინებს მძღოლის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას მის მიერ საგზაო წესების დარღვევისათვის. მოსარჩელის მიერ არ მომხდარა საჯარიმო ქვითრის გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. ნ.-ს მიერ დარღვეული იქნა საგზაო მოძრაობის წესები, რაც დაზღვევის ხელშეკრულების 6.1.11 პუნქტით დადგენილი საგამონაკლისო პირობების შესაბამისად, გამორიცხავდა ზიანის ანაზღაურების წინაპირობებს.

სასამართლომ, ასევე გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი, რომ ვ. ნ.-ს ქმედება, რამაც გამოიწვია საზღვაო მოტოციკლის "YAMAHA-FZS" დაზიანება, თავსდება უხეშო გაუფრთხილებლობის სამართლებრივ შინაარსში.

სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს უხეშო გაუფრთხილებლობის ნორმატიულ განმარტებას, რაც თითოეული შემთხვევის შეფასების საგანს წარმოადგენს. უხეშო გაუფრთხილებლობა მოიცავს იმ მითითებების დარღვევას ან უგულვებელყოფას, რომელიც სავალდებულოდ უნდა იცოდეს მსგავსი შინაარსის ოპერაციის განმახორციელებელმა ნებისმიერმა პირმა. სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის სუბიექტური დამოკიდებულების დადგენა უნდა მოხდეს საგზაო მოძრაობის პროცესის სუბიექტის კონკრეტული მოქმედებების დადგენით და ამ მოქმედებით დამდგარი შედეგების მიმართ მისი დამოკიდებულებით. პირის მიერ უსაფრთხოების წესების უგულვებელყოფა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს, მომეტებული საფრთხის შემცველი სატრანსპორტო საშუალების მართვასთან, აღიქმება უხეშო გაუფრთხილებლობად, რადგან საგზაო მოძრაობისას, კანონით დადგენილი უსაფრთხო მანევრირება, გარემო პირობების გათვალისწინებით ადეკვატური სიჩქარისა თუ მოძრაობისას შესაბამისი წინდახედულობის გამოჩენა მძღოლის მხრიდან წარმოადგენს სამართლებრივ და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსს. ამ პირობების დაცვა მძღოლის ვალდებულებას წარმოადგენს და მისი დარღვევა შესაბამისი სამართლებრივი გამომწვევი წინაპირობაა. ვინაიდან ვ. ნ. საკუთარი ნებით ახორციელებდა ავტომანქანის მართვას მისაბმელთან ერთად, არსებობს ვარაუდი რომ მისთვის ცნობილი იყო ამ პროცესის ყველა უსაფრთხო მოქმედების შინაარსი. ამის გათვალისწინებით ვ. ნ.-ს უნდა სცოდნოდა, რომ მისაბმელიანი ავტომანქანის მართვის თავისებურებიდან გამომდინარე, მკვეთრი დამუხრუჭება ალბათობის მაღალი ხარისხით გამოიწვევდა მისაბმელის მოცურებას და ტვირთის დაზიანებას. გარდა ამისა, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მიერ მკვეთრი დამუხრუჭება გამოიწვია მცდარმა წარმოდგენამ, რომ საპირისპირო გზაზე მიმავალი ავტომანქანა გადმოსული იყო მის სავალ ზოლში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. ნ.-ს მიერ დარღვეულია უსაფრთხო გადაადგილების მინიმალური სტანდარტი და მისი ქმედება თავსდება უხეშო გაუფრთხილებლობის სამართლებრივ ცნებაში.

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით



დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე, სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შემდეგ გარემოებათა გამო:

2.8. სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლი განსაზღვრავს ვალდებულების წარმოშობის საფუძველებს, რომლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიდან. სამოქალაქო მართლწესრიგი განამტკიცებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს და შესაძლებლას ანიჭებს მხარეებს, თავისი შეხედულებით განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი. ხოლო, სახელშეკრულებო ბოჭვის პირობებში პირი ვალდებულია შეასრულოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები. სწორედ, აღნიშნულ პრინციპზე მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს ვალდებულების შესრულების ძირითად კრიტერიუმებს. აღნიშნული ნორმა-პრინციპის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთისინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამდენად, ყოველი შესრულება უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ მუხლში მოყვანილ პირობებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულებით, მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დაზღვევის ხელშეკრულება ითვალისწინებდა საგამონაკლისო შემთხვევებს, კერძოდ, როდესაც ტვირთის დაზიანება გამოწვეული იყო დამზღვევის უხეში გაუფრთხილებლობით, ხოლო მისაბმელის შემთხვევაში მძღოლის საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისას. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ სახეზეა დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევები, რაც გამორიცხავდა მოპასუხის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

2.9. სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია ვ. ნ.-ს მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის ნაწილში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. მიუღებელი შემოსავალი თავისი სამართლებრივი ბუნებით ზიანის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. ამდენად, მისთვის დამახასიათებელია ყველა ის ელემენტი, რომელიც ზიანიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის არის გათვალისწინებული. ზემოთ მოყვანილი ნორმა, სწორედ ამ მოსაზრებას განამტკიცებს. ამიტომ მიუღებელი შემოსავალიც, ისევე როგორც ზიანი მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული. შპს სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ.-ს“ მხრიდან ვალდებულების დარღვევის ფაქტის არარსებობა, იმთავითვე გამორიცხავდა მოსარჩელის მოთხოვნას მიუღებელი შემოსავლის ნაწილში.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძველები

გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ვ. ნ.-მ და მოითხოვა გადაწყვეტილების შეცვლა და სარჩელის დაკმაყოფილება. სააპელაციო საჩივარი ემყარება შემდეგ გარემოებებს:

ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი



3.1. აპელანტის განმარტებით, საქმის არსებითი განხილვისას, მოპასუხე მხარემ, როგორც მოსარჩელის, ისე სასამართლოს შეკითხვები იმის შესახებ, თუ რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს მოპასუხე მხარე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზიანის ანაზღაურების გამოსათვლელად, ან რა შემთხვევა იგულისხმება ასეთად, დატოვა უპასუხოდ, შემოიფარგლა ზოგადი ფრაზეოლოგიით, სამართლებრივად ვერ დაასაბუთა სადაზღვევო კომპანიის სახელმძღვანელო პრინციპები, რაც ასახულია სხდომის ოქმში. მოპასუხე მხარე არგუმენტირებას ახდენს სადაზღვევო ხელშეკრულების იმ მუხლზე, რომელიც ათავისუფლებს მზღვეველს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ შემთხვევა დადგა დამზღვევის უხეში გაუფრთხილებლობით, რაც გულისხმობს ავტოსაგზაო შემთხვევას, რომელიც ვითომ მოხდა მოსარჩელის უხეში გაუფრთხილებლობით და ადმინისტრაციული ჯარიმის ოქმი არ გაუსაჩივრებია დადგენილი წესით. ამავე დროს არც მოპასუხე მხარეს, არც სასამართლოს არ უმსჯელია იმის შესახებ, თუ რა სამართლებრივი შედეგი ექნებოდა გასაჩივრების შედეგად უცვლელად დატოვებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ზიანის ანაზღაურებისას. თუ მოპასუხე მხარის და სასამართლოს ლოგიკით ვიმჯელებთ, თუნდაც უცვლელი ოქმი საფუძველი იქნებოდა სადაზღვევო კომპანიისათვის, აენაზღაურებინა ზიანი, რაც სამართლებრივი აბსურდია. სასამართლო და მოპასუხე ეყრდნობა ისეთ აბსტრაქტულ ცნებას, რომელიც კანონმდებლობაში არ არსებობს და სამართლებრივ ნორმად არ არის მიჩნეული, კერძოდ, უხეშ გაუფრთხილებლობას, რასაც თავად სასამართლო განმარტავს გადაწყვეტილებაში (დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები), ასეთ ცნებას ან ნორმას ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი არ იცნობს. ამავე კოდექსის მე-10 მუხლი კი განსაზღვრავს განზრახვას ან გაუფრთხილებლობას და არა უხეშ გაუფრთხილებლობას, ამავე კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად: ადმინისტრაციული სამართალდარღვევა გაუფრთხილებლობით ჩადენილად ჩაითვლება, თუ მისი ჩამდენი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მავნე შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას ან არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა ისინი. ამავე არგუმენტს ეყრდნობა სასამართლო მიუღებელი შემოსავლის ნაწილშიც, რადგან მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ისე უნდა ემართა სატრანსპორტო საშუალება, რომ გამორიცხული ყოფილიყო ავტომანქანის მოცურება. სასამართლოს არ უმსჯელია მოსარჩელის იმ არგუმენტზე, რომ საზღვაო მოტოციკლი 2 წლის განმავლობაში გაურკვეველი მიზეზებით იმყოფებოდა ავტოსადგომზე და მიუხედავად მოთხოვნისა, არ უბრუნებდნენ. აღნიშნულის გამო მოსარჩელეს მიადგა ზიანი.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის საფუძველზე, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას საქმეზე.



განსახილველ შემთხვევაში პალატა თვლის, რომ არსებობს სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება

საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. 2010 წლის 6 ივლისს შპს "სადაზღვევო კომპანია ა. ს. ჯ.-ს" და ვ. ნ.-ს შორის გაფორმდა დაზღვევის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე გაიცა ორი სადაზღვევო სერტიფიკატი #MI0004XXX და CR000XXX.

4.2. სერტიფიკატი #MI0004XXX ითვალისწინებდა ვ. ნ.-ს სარგებლობაში არსებული, ავტომანქანის მისაბმელის (მარკა DENNIS DENNIS, სახ. ნომერი PAXXX) დაზღვევას და მოსარგებლისათვის სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას. სადაზღვევო თანხა განისაზღვრა 1 000 აშშ დოლარით. დაზღვევის პერიოდი განისაზღვრა 07.07.2010 წლიდან 07.10.2011 წლამდე (ტ.1. ს.ფ. 58-65);

ხელშეკრულების 6.1.11. პუნქტის თანახმად, მზღვეველი არ აანაზღაურებს: ზარალს და დაზიანებას, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული ავტომოტოტრანსპორტის გადატვირთვით, ტექნიკური გაუმართაობით, არასაგზაო პირობებში ექსპლუატაციით, მძღოლის მიერ უხეში გაუფრთხილებლობით და/ან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით.

4.3. ტვირთის დაზღვევის სერტიფიკატით #CR000XXX (ლონდონის მზღვეველთა ინსტიტუტი) დაზღვეული იქნა წყლის მოტოციკლი, ე.წ. "სკუტერი" "YAMAHA-FZS". სადაზღვევო თანხა განისაზღვრა 17 900 აშშ დოლარით. დაზღვევის პერიოდი განისაზღვრა 07.07.2010 წლიდან 07.10.2011 წლამდე (ტ.1. ს.ფ. 66-70);

აღნიშნული ხელშეკრულების პირველი პუნქტის შესაბამისად, დაზღვევა ფარავს დაზღვეული ობიექტის დანაკარგის ან დაზიანების ყველა რისკს, გარდა 4, 5, 6 და 7 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. 4.1. პუნქტის თანახმად, ეს დაზღვევა არ ფარავს: დანაკარგს, დაზიანებას ან ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია დაზღვეულის მიერ განზრახ ქმედებასთან ან უხეშ გაუფრთხილებლობასთან.

4.4. 2010 წლის 01 ოქტომბერს, დაბა შორაპანთან, მოხდა ავტო-საგზაო შემთხვევა, რამაც გამოიწვია წყლის მოტოციკლის, ე.წ. "სკუტერის" "YAMAHA-FZS" და მისაბმელის დაზიანება. საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი საჯარიმო ქვითრით № ბდ726XXX, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე, ვ. ნ. დაჯარიმდა 250 ლარით. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში აღნიშნულია, რომ მძღოლმა ვერ უზრუნველყო ავტომანქანის უსაფრთხო მართვა, კერძოდ, მოსახვევში მოუცურდა მისაბმელი და შეეჯახა ავტომანქანა გაზ. 69-ს. ამავე ოქმში მითითებულია, რომ მოსარჩელე იმყოფებოდა ფხიზელ მდგომარეობაში (ტ.1. ს.ფ. 23);

4.5. დადგენილია, რომ ავტოავარიის შედეგად დაზიანდა მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანის მისაბმელი და წყლის მოტოციკლი. შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისის“ იამაჰას დეპარტამენტის სერვისის მენეჯერის, 2010 წლის 20 ოქტომბრის ცნობის შესაბამისად, შპს „ტოიოტა ცენტრი



თბილისის“ მიერ შემოწმებული, ვ. ნ.-ს კუთვნილი მოტოციკლი „YAMAHA-FZS“ არ ექვემდებარება აღდგენა-შეკეთებას (ტ.1. ს.ფ. 25).

2.6. 2010 წლის 04 ოქტომბერს ვ. ნ.-მ საპრეტენზიო განაცხადით მიმართა სადაზღვევო კომპანიას და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება. შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ს. ჯ.-მ“ უარი განაცხადა დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე, შემდეგი საფუძვლით: „ტვირთის დაზღვევის პირობების თანახმად, არც ერთ შემთხვევაში დაზღვევა არ ფარავს და შესაბამისად არ ექვემდებარება ანაზღაურებას დანაკარგი, დაზიანება ან ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია დაზღვეულის მიერ უხეშ გაუფრთხილებლობასთან და უშუალოდ არის გამოწვეული ტრანსპორტირების შეფერხებით, თუნდაც ეს შემთხვევა გამოწვეული ყოფილიყო დაზღვეული რისკებით. ამასთან, ანაზღაურებას ასევე არ ექვემდებარება ზემოაღნიშნული შემთხვევით ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის მიყენებული ზიანი, ვინაიდან ავტოსატრანსპორტო დაზღვევის პირობების #009/07 მე-6 მუხლის, 6.1.11 ქვეპუნქტის თანახმად, მზღვეველი არ აანაზღაურებს ზარალს და დაზიანებას, რომელიც გამოწვეულია მძღოლის უხეშ გაუფრთხილებლობით და/ან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით (ტ.1. ს.ფ. 91-92);

2.7. მოცემულ შემთხვევაში, პალატას დადგენილად მიაჩნია, ვ. ნ.-ს მხრიდან დარღვეული იქნა საგზაო მოძრაობის წესები. კერძოდ:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმოყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე, ვ. ნ. დაჯარიმდა 250 ლარით.

ადმინისტრაციულ-სამართალდაღვევათა კოდექსის 125-ე მუხლი, ითვალისწინებს მძღოლის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას მის მიერ საგზაო წესების დარღვევისათვის, კერძოდ. აღნიშნული მუხლის 7¹ ნაწილის შესაბამისად, შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით. მე-10 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის მე-6, 6², მე-7, 7¹, 7² და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, გამოიწვევს დაჯარიმებას 250 ლარის ოდენობით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316.1 მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მხარეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მხარეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა



საფუძვლებიდან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულებით, მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მძღოლმა ვერ უზრუნველყო ავტომანქანის უსაფრთხო მართვა. მოსარჩელეს სამართალდარღვევის ოქმი არ გაუსაჩივრებია, შესაბამისად, იგი დაეთანხმა საკუთარი ქმედების კვალიფიკაციასა და სანქციას. ამდენად, ავტომანქანის მისაბმელთან დაკავშირებით, სადავო შემთხვევა, ექცევა ავტომოტოტრანსპორტის დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გამონაკლისთა სიაში, რაც არ წარმოშობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას (ხელშეკრულების 6.1.11. პუნქტი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ავტომანქანის მისაბმელთან დაკავშირებით ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

2.8. პალატა არ იზიარებს მოპასუხის განმარტებას იმის შესახებ, რომ ავტოსატრანსპორტო შემთხვევა გამოწვეული იქნა მძღოლის უხეშო გაუფრთხილებლობით. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა ემყარება შემდეგ მოსაზრებებს:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მესამე ნაწილის შესაბამისად, მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევის შედეგად უნდა დაასაბუთოს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტების არსებობა-არარსებობის საკითხი. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლიობაში, ურთიერთშეჯერებით და მხოლოდ ამის შემდეგ ღებულობს დასკვნას საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობის შესახებ.

პალატა განმარტავს, რომ ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დროს მძღოლის ბრალეულობის განზრახ ან უხეშ გაუფრთხილებლობად დაკვალიფიცირება განეკუთვნება შეფასებით კატეგორიას. მისი დადგენა უნდა მოხდეს საგზაო მოძრაობის უშუალო მონაწილის კონკრეტული მოქმედების დადგენით და ამგვარი მოქმედებით დამდგარი შედეგის მიმართ მისი სუბიექტური დამოკიდებულებით.

ტვირთის (წყლის მოტოციკლი) დაზღვევის პირობების 4.1. პუნქტის თანახმად, ეს დაზღვევა არ ფარავს: დანაკარგს, დაზიანებას ან ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია დაზღვეულის მიერ განზრახ ქმედებასთან ან უხეშ გაუფრთხილებლობასთან.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 11-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებდა მის მავნე შედეგებს და სურდა ისინი ან შეგნებულად უშვებდა მათ.



მოცემულ შემთხვევაში სადავოს არ წარმოადგენს, რომ სადაზღვევო შემთხვევა არ ყოფილა გამოწვეული განზრახი მოქმედებით. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა ყურადღებას გაამახვილებს ასევე შემდეგ მტკიცებულებებზე:

საქმის მასალებს ერთვის თბილისის პროკურატურის ანტიკორუფციული საგამოძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებლის წერილი სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ.-ს“ მიმართ“, რომლითაც დგინდება, რომ თბილისის პროკურატურის ანტიკორუფციულ საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის #010108XXX საქმეზე, სადაზღვევო კომპანიების კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხების წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თაღლითურად დაუფლების ფაქტზე. აღნიშნული სამსახურის მიერ სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ.-დან“ მიღებული იქნა ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევებთან დაკავშირებით, მათ შორის ვ. ნ.-სთან მიმართებით (ტ.1. ს.ფ. 85-87). კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით ვ. ნ.-ს მიმართ არ გამოტანილა გამამტყუნებელი განაჩენი.

რაც შეეხება იმ გარემოებას მოქმედებდა თუ არა ვ. ნ. უხეში გაუფრთხილებლობით, აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. ნ.-ს მხრიდან უხეშ გაუფრთხილებლობას ადგილი არ ჰქონია. კერძოდ:

საქმის მასალებით დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ ვ. ნ. მოძრაობდა დასაშვები სიჩქარით (დაშვებული სიჩქარის გადაჭარბების ფაქტი, წარმოდგენილი საჯარიმო ქვითრით არ დგინდება), ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით დგინდება, ის იმყოფებოდა ფხიზელ მდგომარეობაში.

საქმეში წარმოდგენილია ავტო-საგზაო შემთხვევის დათვალიერების სქემა, რომლითაც დგინდება, რომ ვ. ნ. მოძრაობდა მარჯვენა სამოძრაო ზოლში, ბათუმიდან თბილისის მიმართულებით, ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას შეანელა სვლა და საჭე მკვეთრად მარჯვნივ აიღო. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დათვალიერების სქემაზე არ არის აღნიშნული მუხრუჭის გამოყენების კვალი, შესაბამისად, უნდა გამოირიცხოს მოსარჩელის მიერ მკვეთრად დამუხრუჭების ფაქტი. დათვალიერების სქემით დგინდება, რომ ავტომანქანის მისაბმელი გადავიდა მოძრაობის საწინააღმდეგო ზოლში და შეეხაჯა მოძრავ ავტომანქანას. იმ პირობებში, როდესაც დადგინდა, რომ მოსარჩელის მხრიდან განზრახვას ადგილი არ ჰქონია, გონივრული ახსნა უნდა მოეძებნოს მოსარჩელის მოქმედებებს, რაც გამოიხატა მსვლელობისას მოძრაობის შენელებასა და საჭის მკვეთრად მარჯვნივ აღებაში, რის შედეგადაც ავტომანქანის მისაბმელი გადავიდა საწინააღმდეგო ზოლში და გამოიწვია ავტოსატრანსპორტო შემთხვევა. მოსარჩელის განმარტებით, საპირისპირო მიმართულებიდან მომავალი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ფარების შუქმა მოჭრა თვალი და მას შეექმნა წარმოდგენა, რომ შემხვედრი ავტომანქანა გადასული იყო მის სავალ ნაწილში. პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ შემთხვევა მოხდა ღამის საათებში, რა დროსაც ცუდი მხედველობაა. დათვალიერების სქემის შესაბამისად, ავტომანქანის მოძრაობის ტრაექტორიის მიხედვით დგინდება, რომ საწინააღმდეგო ზოლში მოძრავი ავტომანქანა მიუხლოვდა გზის გამყოფ ზოლს. შესაძლოა მოსარჩელეს შეექმნა მცდარი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ავტომანქანა გადასული იყო მის სამოძრაო ზოლში, თუმცა ამგვარი წარმოდგენა არ იყო საფუძველს მოკლებული, ვინაიდან მოძრაობდა ღამის საათებში და შემხვედრი ავტომანქანა მოკლე მანძილით მიუახლოვდა გზის გამყოფ ზოლს. ვ. ნ.-ს მოქმედებამ, საჭის მკვეთრად მარჯვნივ აღებამ, გამოიწვია მისაბმელის მოცურება, რაც არ უნდა შეფასდეს უხეშ გაუფრთხილებლობად. პალატა განმარტავს, რომ უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც მოძრაობს არაფხიზელ



მდგომარეობაში, გადაჭარბებული სიჩქარით, არღვევს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესებს და თავისი მოქმედებით აუცილებელი ყურადღებრიანობის მოთხოვნებს არღვევს ურყეულოდ მაღალი ხარისხით. უხეში გაუფრთხილებლობა არის მეტისმეტი დაუდევრობა. ხოლო თუ დადგინდა, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ავტომანქანას მართავდა სათანადო წინდახედულების ფარგლებში, მისი ქმედება არ შეიძლება შეფასდეს უხეშ გაუფრთხილებლობად. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ვ. ნ. მოძრაობდა დასაშვები სიჩქარით, ფხიზელ მდგომარეობაში, მოძრაობდა მის სავალ ზოლში, მოძრაობისას არ არღვევდა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესებს, მაგრამ გზაზე შექმნილი სავარაუდო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, იმოქმედა გაუფრთხილებლად. რაც გამოიხატა შემდეგში: საჭე მარჯვნივ აიღო, რის შედეგადაც ავტომანქანის მისაბმელმა გადაკვეთა შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზი. საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, საპირისპირო მიმართულებიდან მომავალი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ფარების შუქით თვალის მოჭრის შემთხვევაში მძღოლმა მოძრაობის ზოლის შეუცვლელად უნდა შეანელოს სიჩქარე, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – გაჩერდეს და ჩართოს საავარიო შუქსიგნალიზაცია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულებით, მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ავტოსაგზაო შემთხვევის ყველა გარემოების გათვალისწინებით, პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა გამოწვეული არ ყოფილა მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობით, რის გამოც მოპასუხეს ეკისრება დაზღვევის თანხის ანაზღაურების ვალდებულება.

2.9. პალატას მიაჩნია, რომ სარჩელი მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408.1 მუხლის შესაბამისად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს; მეორე ნაწილის შესაბამისად, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

მიუღებელი შემოსავლის ნაწილში მოსარჩელემ მოთხოვნა დაამყარა იმ გარემოებაზე, რომ წყლის მოტოციკლის გაქირავებით იღებდა შემოსავალს. პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ წყლის მოტოციკლს იყენებდა კომერციული მიზნებისათვის და იღებდა კონკრეტულ შემოსავალს. შესაბამისად,



მიუღებელი შემოსავლის სახით მოპასუხისათვის 10 000 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა შეიცვალოს 17 900 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილდეს.

6. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 53.1 მუხლის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

დადგენილია, რომ სარჩელისათვის გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 1459.50 ლარის ოდენობით, ხოლო სააპელაციო საჩივრისთვის – 2040 ლარი, სულ 3499.50 ლარი. სარჩელი დაკმაყოფილდა 60.89%-ით. ზემოაღნიშნული ნორმის შესაბამისად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 2130.54 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. გ. ნ.-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 04 თებერვლის გადაწყვეტილება შეიცვალოს 17 900 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ნ.-ს სარჩელი წყლის მოტიციკლის ღირებულების ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილდეს;
4. შპს სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ.-ს“ დეკისროს 17 900 აშშ დოლარის ანაზღაურება გ. ნ.-ს სასარგებლოდ;
5. შპს სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ.-ს“ დეკისროს გ. ნ.-ს სასარგებლოდ 2130.54 ლარის გადახდა;
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტით



გათვალისწინებული წესების დაცვით, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მეშვეობით.

7. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

თავმჯდომარე

ნატალია ნაზლაიძე

მოსამართლეები

ნათია გუჯაბიძე

ქეთევან მესხიშვილი